


სატარო დანახაბუღაბების ე.წ. 10 დეკემბრის ანბარობების სიზუსტის მონიტორინგის შედეგები





ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

მოცემული მასალის მომზადება დაფინანსებულია შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს, Sida-ს მიერ. შინაარსზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება მის შემქმნელს. Sida შესაძლოა არ იზიარებდეს გამოთქმულ ხედვებსა და ინტერპრეტაციებს.

2021

სარჩევი

ძირითადი მიგნებები.....	4
შესავალი.....	5
უწყებები რომელთა 10 დეკემბრის ანგარიშები არ არის ხელმისაწვდომი	7
10 დეკემბრის ანგარიშებში ასახული ინფორმაციის მონიტორინგის შედეგები.....	7
დასკვნა	12

ძირითადი მიგნებები

- კვლევის ობიექტი 60 საჯარო დაწესებულებიდან, 18-ის 2020 წლის ე.წ. 10 დეკემბრის ანგარიში საერთოდ არ არის ხელმისაწვდომი;
- 5 საჯარო დაწესებულებას, რომლებსაც 2020 წლის 10 დეკემბრის მდგომარეობით IDFI-ს მინიმუმ ერთ წერილზე ქონდა ერთ თვეზე მეტი ვადაგადაცილება (მათგან 2-უწყებას პასუხი დღემდე არ მოუწოდებია), 10 დეკემბრის ანგარიშში მითითებული აქვს რომ ყველა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა დააკმაყოფილა.
- 11 საჯარო დაწესებულებას, რომლებსაც 2020 წლის 10 დეკემბრის მდგომარეობით IDFI-ს მინიმუმ ერთ წერილზე, ქონდა ერთ თვეზე მეტი ვადაგადაცილება (მათგან 9-უწყებას პასუხი დღემდე არ მოუწოდებია), ანგარიშში ყველა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე მინიჭებული აქვს დაკმაყოფილებული ან მიმდინარე სტატუსი;
- 10 დეკემბრის ანგარიშებში ასახული სტატისტიკური ინფორმაციის მიხედვით, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის გადაწყვეტილება მიღებული აქვს მხოლოდ 16 საჯარო დაწესებულებას;
- 3 საჯარო დაწესებულებას არ აქვს მითითებული თუ რომელ საკანონმდებლო აქტებს ეყრდნობოდა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის გადაწყვეტილებისას ან ვინ იყო მსგავსი გადაწყვეტილების მიმღები პირი;
- 17 საჯარო დაწესებულებას ანგარიშში საერთოდ არ აქვს ასახული საჯარო მონაცემთა ბაზების და პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებული ინფორმაცია.

შესავალი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია ყოველი წლის 10 დეკემბერს საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს პრემიერ-მინისტრს წარუდგინოს, აგრეთვე საკანონმდებლო მაცნეში გამოაქვეყნოს, მიმდინარე წლის ანგარიში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობის შესახებ. კანონმდებლობით გათვალისწინებულია რომ აღნიშნული ანგარიში ფარავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- საჯარო დაწესებულებაში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსული განცხადებების სტატისტიკური ინფორმაცია (მათ შორის რამდენი დაკმაყოფილდა და რამდენს ეთქვა; უარი);
- საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების და მასთან დაკავშირებული ხარჯების, მათ შორის მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების შესახებ ინფორმაცია;
- საკანონმდებლო აქტების შესახებ ინფორმაცია, რომლებსაც საჯარო დაწესებულება ეყრდნობოდა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას, ასევე უარის გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურის ვინაობა;
- დაწესებულების მიერ საჯარო მონაცემთა ბაზების და პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების შესახებ;
- საჯარო მოსამსახურეთა მიერ სზაკ-ის მოთხოვნების დარღვევის რაოდენობისა და პასუხისმგებელი პირებისთვის სახდელების დადების შესახებ.

კანონმდებლობა არ ადგენდა 10 დეკემბრის ანგარიშის განხილვის პროცედურებს, რის გამოც წლების განმავლობაში ამ ანგარიშების წარდგენას მხოლოდ ფორმალური ხასიათი ქონდა და არც საკანონმდებლო ორგანო და არც აღმასრულებელი ხელისუფლება არ ახდენდა მათ შესწავლას ან მონიტორინგს.

2017 წელს ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს ფორმატში საქართველოს პარლამენტმა გაითვალისწინა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტისა (IDFI) და საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს (TI) რეკომენდაცია დაენერგა საჯარო ინფორმაციის ანგარიშების მონიტორინგის სისტემა. კერძოდ, [საქართველოს ღია პარლამენტის 2017 წლის სამოქმედო გეგმის 4.2. პუნქტის](#) თანახმად, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით უნდა შექმნილიყო საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებული ანგარიშის განხილვის პროცედურა და რეაგირების ეფექტიანი მექანიზმები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 177-ე მუხლით განისაზღვრა ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის ვალდებულება, რომ საგაზაფხულო სესიის დასრულებამდე შეიმუშაოს და პარლამენტის ბიუროს წარუდგინოს ერთიანი დასკვნა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით

დადგენილი წესით საჯარო დაწესებულებების მიერ პარლამენტისათვის წარმოდგენილი ანგარიშების შესახებ.

პარლამენტის რეგლამენტის მიხედვით ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი შეისწავლის საჯარო დაწესებულებების „10 დეკემბრის ანგარიშების“ და მათში ასახული ინფორმაციის შესახებ **პარლამენტში შემოსულ მოქალაქეთა და ორგანიზაციათა განცხადებებსაც.**

29 ივნისს ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა პარლამენტის ვებგვერდზე გამოაქვეყნა „10 დეკემბრის ანგარიშების“ განხილვის დაწყების შესახებ [ინფორმაცია](#). ყველა დაინტერესებულ პირს **2021 წლის 15 ივლისამდე**, შეუძლია გადაამოწმოს საჯარო დაწესებულებების ანგარიშებში მითითებული ინფორმაციის სისწორე, და ხარვეზის და/ან არასრული ინფორმაციის აღმოჩენის შემთხვევაში, რეაგირებისთვის მიმართოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტს.

კომიტეტისთვის, შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების მიზნით, IDFI-მ შეისწავლა საჯარო დაწესებულებების მიერ 2020 წელს წარდგენილი 10 დეკემბრის ანგარიშები. კერძოდ, წინამდებარე დოკუმენტში მიმოხილულია საჯარო დაწესებულებების 2020 წლის 10 დეკემბრის ანგარიშებში ასახული ინფორმაციის შესაბამისობა, IDFI-ს მიერ ამ პერიოდში გაგზავნილ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებზე მიღებული პასუხების პრაქტიკასთან.

კვლევის ობიექტ საჯარო დაწესებულებებად შეირჩა ისეთი უწყებები, რომლებიც IDFI-ს შეფასებით 2020 წელს გამოირჩეოდნენ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის დაბალი მაჩვენებლებით. კერძოდ, კვლევა განხორციელდა ინფორმაციის ხელმისაწვდომობის 2020 წლის [რეიტინგის](#) მიხედვით, 50%-ზე დაბალი შეფასების მქონე **60** საჯარო დაწესებულების მაგალითზე.

10 დეკემბრის ანგარიშების სიზუსტის კონტროლს გარკვეულწილად ართულებს, ანგარიშში ინფორმაციის ასახვის სპეციფიკა. მაგალითად, სტატისტიკური ინფორმაცია აერთიანებს საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შესული წერილების ან/და საჩივრების შესახებ ჯამურ მონაცემებს, საიდანაც (განსაკუთრებით ბევრი წერილების მქონე უწყებებში) ვერ ხერხდება, კონკრეტული წერილის მიმართებით უწყების მიერ მინიჭებული სტატუსის გამორკვევა. ამასთან, საჯარო დაწესებულებები სტატისტიკის წარმოებისას ნაკლებად ახდენენ მიღებული წერილების და გაგზავნილი პასუხების შინაარსობრივ შეფასებას. მაგალითად, თუ უწყებაში შევიდა 1 წერილი რომლითაც მოთხოვნილია, პირობითად 10 სხვადასხვა შინაარსის ინფორმაცია, სტატისტიკაში აისახება როგორც 1 მოთხოვნა. ხოლო აღნიშნულ წერილის პასუხად, 10 შინაარსის სხვადასხვა მოთხოვნიდან 9-ის უპასუხოდ დატოვების შემთხვევაშიც, სტატისტიკაში აისახება როგორც დაკმაყოფილებული წერილი, საუკეთესო შემთხვევაში ნაწილობრივ დაკმაყოფილებული.

მიუხედავად სიზუსტის მონიტორინგთან დაკავშირებით არსებული სირთულეებისა, მხოლოდ IDFI-ს 2020 წლის პრაქტიკის და საჯარო დაწესებულებების 10 დეკემბრის ანგარიშებში ასახული ინფორმაციის ლოგიკური კონტროლით, შესაძლებელი გახდა მთელი რიგი შეუსაბამობების იდენტიფიცირება. IDFI მიიჩნევს, რომ ქვემოთ განხილული გარემოებები, წარმოადგენს მნიშვნელოვან საფუძველს ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტისათვის, დამატებითი მოკვლევის ჩატარებისათვის.

უწყებები რომელთა 10 დეკემბრის ანგარიშები არ არის ხელმისაწვდომი

კვლევის ობიექტი 60 საჯარო დაწესებულებებიდან, 18-ის 2020 წლის 10 დეკემბრის ანგარიში საერთოდ არ არის ხელმისაწვდომი. აღნიშნული უწყებების 10 დეკემბრის ანგარიშებს ვერ ვხვდებით, ვერც ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის მიერ ერთად თავმოყრილ [დოკუმენტებს](#) შორის და ვერც საკანონმდებლო მაცნეს ვებ-გვერდზე, სადაც კანონმდებლობით საჯარო დაწესებულება ვალდებულია რომ გამოაქვეყნოს 10 დეკემბრის ანგარიში.

- ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია
- ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერია
- ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერია
- შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულო
- ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
- შუახევის მუნიციპალიტეტის მერია
- ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულო
- მესტიის მუნიციპალიტეტის მერია
- ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერია
- მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო
- ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერია
- ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია
- დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
- ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია
- კასპის მუნიციპალიტეტის მერია
- საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
- ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების სააგენტო

10 დეკემბრის ანგარიშებში ასახული ინფორმაციის მონიტორინგის შედეგები

კვლევის ობიექტი საჯარო დაწესებულებებიდან 7-ს, 10 დეკემბრის ანგარიშში მითითებული აქვს რომ, 2020 წელს შესული ყველა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა დააკმაყოფილა. მათ შორის 5 უწყების სტატისტიკა, მხოლოდ IDFI-ს მიერ გაგზავნილ წერილებზე დაყრდნობით შეიცავს მნიშვნელოვან უზუსტობებს. მაგალითად, ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს IDFI-მ 2020 წლის 14 სექტემბერს გაუგზავნა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის წერილი, რომელიც მოიცავდა 19 სხვადასხვა შინაარსის მოთხოვნას. აღნიშნული წერილი საკრებულოს მიერ დატოვებულია უპასუხოდ, თუმცა უწყებას 10 დეკემბრის ანგარიშში მითითებული აქვს რომ 2020 წელს შესული 9 საჯარო ინფორმაციის მოთხოვნიდან 9-ვე დააკმაყოფილა. ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას,

მიუხედავად IDFI-ს 2020 წლის 9 სექტემბრის წერილის უპასუხოდ დატოვებისა, 10 დეკემბრის ანგარიშში მითითებული აქვს, რომ 2020 წელს ყველა - 26-ვე მოთხოვნა დააკმაყოფილა. ასევე, შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის სამსახურს (აღნიშნული უწყების სტატისტიკა ასახულია სამინისტროს ერთიან ანგარიშში) მიუხედავად IDFI-ს 2020 წლის 12 ოქტომბრის წერილის უპასუხოდ დატოვებისა, მითითებული აქვს რომ ყველა (11-ვე) მოთხოვნა დააკმაყოფილა.

კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულომ IDFI-ს 2020 წლის 14 სექტემბრის საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის წერილს, პასუხი გასცა დაახლოებით 4 თვის დაგვიანებით, 2021 წლის 1 თებერვალს. შესაბამისად, 2020 წლის 10 დეკემბრის მდგომარეობით, აღნიშნული წერილი იყო უპასუხო. მიუხედავად ამისა, საკრებულოს 10 დეკემბრის ანგარიშში მითითებულია რომ ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილებულია. მსგავსი მდგომარეობაა ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის და შიდა ქართლის გუბერნატორის ადმინისტრაციების შემთხვევაშიც, სადაც 2020 წლის 10 დეკემბრის მდგომარეობით აღირიცხებოდა IDFI-ს მინიმუმ ერთ თვიანი ვადაგადაცილებული წერილი, რომლის შესახებ ინფორმაცია არ იყო ასახული ანგარიშში.

საჯარო დაწესებულებები რომლებსაც 10 დეკემბრის ანგარიშში მითითებული აქვთ, რომ ყველა მოთხოვნა დააკმაყოფილეს				
საჯარო დაწესებულება	უწყების 2020 წლის 10 დეკემბრის ანგარიშის სტატისტიკა		IDFI-ს მიერ გაგზავნილი წერილის თარიღი	პასუხის თარიღი
	შესული განცხადება	დაკმაყოფილებული განცხადება		
ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულო	9	9	14.09.2020	უპასუხო
შსს ჯანმრთელობის დაცვის სამსახური	11	11	12.10.2020	უპასუხო
ადიგენის მუნიციპალიტეტის მერია	35	35	09.09.2020	05.05.2021
კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულო	8	8	14.09.2020	01.02.2021
შიდა ქართლის გუბერნატორის ადმინისტრაცია	16	16	20.10.2020	20.05.2021

კვლევის ფარგლებში შესწავლილი საჯარო დაწესებულებების 10 დეკემბრის ანგარიშებში ხშირია შემთხვევები, როდესაც სტატისტიკაში დაკმაყოფილებული წერილების გარდა, ყველა სხვა წერილს მინიჭებული აქვს მიმდინარე სტატუსი. სტატისტიკაში, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსულ წერილზე მიმდინარე სტატუსის მინიჭება გამართლებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ 10 დეკემბრის მდგომარეობით, კონკრეტულ წერილზე არ არის გასული კანონმდებლობით დადგენილი 10 დღიანი ვადა და მიმდინარეობს შესაბამისი პასუხის მომზადების პროცედურები. თვეობით ვადაგადაცილებული წერილებისათვის, მიმდინარე სტატუსის მინიჭება ატარებს მანიპულაციურ ხასიათს, რომელიც მიზნად ისახავს უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნების შესახებ ინფორმაციის დამალვას. ამასთან, ამ გზით საჯარო დაწესებულება თავს არიდებს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ინფორმაციის (რომელ საკანონმდებლო აქტებს ეყრდნობოდა საჯარო დაწესებულება საჯარო ინფორმაციის გაცემაზე

უარის გადაწყვეტილებისას ან ვინ იყო მსგავსი გადაწყვეტილების მიმღები პირი) ანგარიშში ასახვას.

კვლევის ფარგლებში იდენტიფიცირებულია 10 საჯარო დაწესებულება, რომლებსაც 2020 წლის 10 დეკემბრის მდგომარეობით IDFI-ს მინიმუმ ერთ წერილზე ქონდა ერთ თვეზე მეტი ვადაგადაცილება (მათგან 9-უწყებას პასუხი დღემდე არ მოუწოდებია), თუმცა ეს წერილები 10 დეკემბრის ანგარიშში ასახულია როგორც მიმდინარე სტატუსის მქონე წერილი. მაგალითად, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის 10 დეკემბრის ანგარიშში მითითებულია რომ, 2020 წელს შემოსული 137 წერილიდან 97 დაკმაყოფილდა, ხოლო დანარჩენი 40 წერილი არის მიმდინარე. 2020 წელს IDFI-ს ტურიზმის ადმინისტრაციაში გაგზავნილ 3 წერილზე პასუხი საერთოდ არ მიუღია. მათ შორის, ერთ-ერთი გაგზავნილია 2020 წლის 15 იანვარს. შესაბამისად, 10 დეკემბრის მდგომარეობით, ამ წერილზე ფიქსირდებოდა 11 თვიანი ვადაგადაცილება, თუმცა სტატისტიკაში მაინც მიმდინარე სტატუსით იქნა აღრიცხული. მსგავსი მდგომარეობაა, სახელმწიფო ხაზინის და იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებული არაერთი სსიპ-ის შემთხვევაში (იხ. ცხრილი).

აღნიშნული 10 უწყების გარდა, 10 დეკემბრის ანგარიშებში აღრიცხული მიმდინარე სტატუსის მქონე წერილების სიმრავლით, ასევე გამოირჩევიან საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია (73 მიმდინარე წერილი) და იუსტიციის სამინისტრო (45 მიმდინარე წერილი). აღნიშნულ უწყებებს სტატისტიკაში ასევე ასახული აქვთ გარკვეული ოდენობის მოთხოვნები რომლებიც არ დაკმაყოფილდა. თუმცა მათი სიმწირე (მთავრობის ადმინისტრაცია- 5 უარი, იუსტიციის სამინისტროს 2 უარი) გვაძლევს, ვარაუდის საფუძველს რომ სხვა უწყებების მსგავსად, 2020 წელს IDFI-ს უპასუხოდ დატოვებულ მოთხოვნებს მინიჭებული აქვს მიმდინარე სტატუსი. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2020 წელს, მთავრობის ადმინისტრაცია და იუსტიციის სამინისტრო IDFI-ს მიერ დასახელდა ყველაზე დახურულ უწყებებად.

საჯარო დაწესებულებები რომლებსაც 10 დეკემბრის ანგარიშში მითითებული აქვთ, რომ ყველა მოთხოვნა ან დაკმაყოფილებულია ან მიმდინარე სტატუსის მატარებელია					
საჯარო დაწესებულება	უწყების 2020 წლის 10 დეკემბრის ანგარიშის სტატისტიკა			IDFI-ს მიერ გაგზავნილი წერილის თარიღი	პასუხის თარიღი
	შესული განცხადება	დაკმაყოფილებული განცხადება	მიმდინარე სტატუსი		
ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია	137	97	40	15.01.2020 25.09.2020 07.10.2020	უპასუხო
სახელმწიფო ხაზინა	10	5	5	07.10.2020	უპასუხო
დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო	47	21	26	07.10.2020	უპასუხო
იუსტიციის სასწავლო ცენტრი	19	12	7	07.10.2020	უპასუხო
საკანონმდებლო მაცნე	23	17	6	07.10.2020	უპასუხო
მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრი	4	2	2	07.10.2020	უპასუხო
სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო	208	120*	88	21.09.2020 07.10.2020	უპასუხო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	52	27	25	21.09.2020 07.10.2020	უპასუხო

სპეციალური პენიტენციური სამსახური	73	50	23	07.10.2020	უპასუხო
ციფრული მმართველობის სააგენტო	15	10	5	07.10.2020	უპასუხო
წიადის ეროვნული სააგენტო	526	513	13	07.10.2020	29.04.2021

10 დეკემბრის ანგარიშებში ასახული სტატისტიკური ინფორმაციის მიხედვით, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის გადაწყვეტილება მიღებული აქვს მხოლოდ 16 საჯარო დაწესებულებას. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნის მიუხედავად, 3 უწყებას არ აქვს მითითებული თუ რომელ საკანონმდებლო აქტებს ეყრდნობოდა საჯარო დაწესებულება საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის გადაწყვეტილებისას ან ვინ იყო მსგავსი გადაწყვეტილების მიმღები პირი. მაგალითად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 10 დეკემბრის ანგარიშში მითითებულია რომ ცენტრალური აპარატის მიერ 10 განცხადებაზე ინფორმაცია არ გაცემულა, თუმცა რომელ საკანონმდებლო აქტებს ეყრდნობოდა ეს გადაწყვეტილება არ არის დაკონკრეტებული.

საჯარო დაწესებულებები, რომლებსაც 10 დეკემბრის ანგარიშში არ აქვს მითითება თუ რომელ საკანონმდებლო აქტს ეყრდნობოდა უარის გადაწყვეტილება ან ვინ იყო ამ გადაწყვეტილების მიმღები პირი	
საჯარო დაწესებულება	სტატისტიკაში ასახული უარების რაოდენობა
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	10
მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია	2
დუშეთის მუნიციპალიტეტის მერია	1

სხვა უწყებების შემთხვევაშიც, ინფორმაციის გაცემაზე უარის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით ასახული ინფორმაცია (საკანონმდებლო აქტები, გადაწყვეტილების მიმღები პირი) ხშირ შემთხვევაში ზოგადი ხასიათისაა და არ იძლევა კონკრეტიკის საშუალებას. მაგალითად, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 10 დეკემბრის ანგარიშში მითითებულია რომ, 359 მოთხოვნიდან, მხოლოდ 5 მოთხოვნაზე მიღებულია უარის გადაწყვეტილება. შესაბამისი საკანონმდებლო აქტების და გადაწყვეტილების მიმღები პირების მიმართებით, მითითებულია მხოლოდ რომ, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებდა ადმინისტრაციის ხელმძღვანელობა, კოდექსისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

საქართველოს ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით, საჯარო დაწესებულებები, ვალდებული არიან 10 დეკემბრის ანგარიშში ასახონ ასევე, მათ გამგებლობაში არსებული საჯარო მონაცემთა ბაზების და პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ ინფორმაცია. კვლევის ობიექტი საჯარო დაწესებულებებიდან 17 უწყებას საერთოდ არ აქვს მსგავსი ინფორმაცია მითითებული ანგარიშში. მათ შორის არიან ისეთი უწყებები რომლებიც მათი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით ფლობენ მნიშვნელოვან მონაცემთა ბაზებს. კერძოდ, ფინანსთა სამინისტრო, სახელმწიფო ხაზინა, საქართველოს პროკურატურა, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, შსს-ს სამინისტროს სისტემაში შემაჯავლი უწყებები და სხვა.

საჯარო დაწესებულებები რომლებსაც 10 დეკემბრის ანგარიშში არ აქვთ მონაცემთა ბაზების და პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებული ინფორმაცია

1	ფინანსთა სამინისტრო
2	სახელმწიფო ხაზინა
3	პროკურატურა
4	სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური
5	შსს მომსახურების სააგენტო
6	სასაზღვრო პოლიცია
7	დაცვის პოლიცია
8	შსს აკადემია
9	შსს - ჯანმრთელობის დაცვის სამსახური
10	გადაუღებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრი - სსიპ „112“
11	ახმეტის მერია
12	სიღნაღის მერია
13	ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულო
14	ადიგენის მუნიციპალიტეტის მერია
15	დუშეთის მუნიციპალიტეტის მერია
16	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია
17	კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულო

სხვა უწყებების შემთხვევაშიც მხოლოდ 5 უწყებაა ისეთი რომელსაც, ანგარიშში აღრიცხული აქვს მათ გამგებლობაში არსებული საჯარო მონაცემთა ბაზების ჩამონათვალი, ხოლო დანარჩენ შემთხვევაში წარმოდგენილია მხოლოდ ზოგადი ინფორმაცია იმის შესახებ რომ უწყება აწარმოებს მონაცემთა ბაზებს და დებულებით დაკისრებული საჯარო უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს პერსონალური ინფორმაციის დამუშავებას.

მაგალითად, მთავრობის ადმინისტრაციას 10 დეკემბრის ანგარიშში მითითებული აქვს რომ, ადმინისტრაცია სამუშაოების სპეციფიკის გათვალისწინებით გააჩნია მონაცემთა ბაზები, თუმცა რა მონაცემთა ბაზებს ფლობს არ არის დაკონკრეტებული. აღნიშნული კუთხით, ადმინისტრაციას ანგარიშში ასევე მითითებული აქვს რომ, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის და მისი პროაქტიული გამოქვეყნების მიზნით საქართველოს მთავრობის ვებ-გვერდზე შექმნილია საჯარო ინფორმაციის გვერდი, სადაც საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, ქვეყნდება საჯარო ინფორმაცია. აღნიშნული ჩანაწერი არ შეესაბამება სიმართლეს, ვინაიდან საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას 2014 წლის შემდეგ, სავალდებულო პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ფინანსური ინფორმაცია ვებგვერდზე აღარ გამოუქვეყნებია. ამასთან, 2020 წელს მნიშვნელოვნად შეიზღუდა მთავრობის განკარგულებების პროაქტიული ხელმისაწვდომობა.

დასკვნა

კვლევის ობიექტი უწყებების ე.წ. 10 დეკემბრის ანგარიშების მონიტორინგმა აჩვენა რომ, ხშირია შემთხვევები როდესაც საჯარო დაწესებულებები ანგარიშებში ასახავენ კანონმდებლობის მოთხოვნების ან/და რეალობასთან შეუსაბამო მონაცემებს. მაგალითად, საანგარიშო პერიოდში IDFI-ს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების უპასუხოდ დატოვების მიუხედავად, 10 დეკემბრის ანგარიშებში ასახული საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების სრული დაკმაყოფილების მაჩვენებლები, ასევე, თვეობით ვადაგადაცილებულ წერილებზე მინიჭებული მიმდინარე სტატუსები, საჯარო დაწესებულებების მიერ ინფორმაციის არაკეთილსინდისიერ და მანიპულაციურ აღრიცხვაზე მიუთითებს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ წინამდებარე ანგარიშში განხილული შეუსაბამოები, იდენტიფიცირებულია მხოლოდ IDFI-ს მოთხოვნებზე მიღებული პასუხების და 10 დეკემბრის ანგარიშებში ასახული მონაცემების ლოგიკური შედარებით. შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ რომ, ანგარიშების სრულყოფილი შესწავლის შემთხვევაში არსებული უზუსტობების და შეუსაბამოების მასშტაბები მნიშვნელოვნად გაიზრდება.

განსაკუთრებით საყურადღებოა, მთელი რიგი საჯარო დაწესებულებების 10 დეკემბრის ანგარიშების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით არსებული პრობლემები, რაც მნიშვნელოვნად აზარალებს მონიტორინგის სრულფასოვან პროცესს.

IDFI მიიჩნევს რომ, 10 დეკემბრის ანგარიშების მონიტორინგის ეფექტიანობის და მსგავსი ანგარიშების სანდოობის გაზრდის მიზნით, მნიშვნელოვანია:

- ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის მიერ „10 დეკემბრის ანგარიშების“ განხილვის პროცესში, უზრუნველყოფილ იქნას ყველა საჯარო დაწესებულების 10 დეკემბრის ანგარიშის გაცნობის შესაძლებლობა;
- 10 დეკემბრის ანგარიშებს დანართის სახით ახლდეს საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსული წერილების და გაცემული პასუხების რეესტრი. სადაც თითოეული წერილის მიხედვით ასახული იქნება: მიღების თარიღი, მოთხოვნის მოკლე შინაარსი, პასუხის გაცემის თარიღი და უწყების შეფასებით წერილის დაკმაყოფილების სტატუსი; უარის შემთხვევაში შესაბამისი საკანონმდებლო აქტები რომელსაც ეყრდნობოდა საჯარო დაწესებულება საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის გადაწყვეტილებისას და ვინ იყო მსგავსი გადაწყვეტილების მიმღები პირი;
- საჯარო დაწესებულებებმა ერთიანი მეთოდოლოგიით უზრუნველყონ კონკრეტული წერილზე დამდგარი შედეგის სტატუსის განსაზღვრა. მაგალითად, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის წერილს მიენიჭოს მიმდინარე სტატუსი, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ 10 დეკემბრის მდგომარეობით არ არის გასული პასუხის გაცემისთვის განსაზღვრული 10 დღიანი ვადა, წერილი დაკმაყოფილებულად ჩაითვალოს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ

საჯარო დაწესებულების მიერ კონკრეტული წერილის პასუხად გაცემულია ამომწურავი პასუხი;

- 10 დეკემბრის მდგომარეობით, თითოეული ვადაგადაცილებული მიმდინარე სტატუსის მქონე წერილის შემთხვევაში, აღიწეროს მისი ვადის დარღვევის მიზეზი, ხოლო იმ შემთხვევაში თუ მსგავს წერილებზე შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ მიღებული გადაწყვეტილება დატოვოს უპასუხოდ, რაც სამართლებრივად ნიშნავს უარს, აისახოს შესაბამის სტატისტიკაში;
- საჯარო დაწესებულებების 10 დეკემბრის ანგარიშებში შეუსაბამო მონაცემების აღმოჩენის შემთხვევაში, განხილულ იქნას ანგარიშში ასახული ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელი პირის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი.

